1927 წლიდან

თბილისის უნივერსიტეტი

სტუდენტური ფურცელი

თსუ-ს მაგისტრატურის სტუდენტებისთვის თსუ-ში ღვინის სამართლის კლინიკა დაარსდა

კლინიკა საქართველოს ღვინის იურისტთა ასოციაციის ბაზაზე იმუშავებს

8 გვ.

კვლევა, რომელიც ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებას უკავშირდება

რა აჩვენა ალგორითმების ბოლო ანალიზმა?

8 გვ.

შეხვედრა წარმატებულ კურსდამთავრებულთან

ბაჩო ხუროშვილი თსუ-ში გატარებულ სტუდენტობის წლებს დიდ და გენიალურ თავგადასავალს უწოდებს

9 გვ.

თსუ-ს მაგისტრატურის სტუდენტებისთვის თსუ-ში ღვინის სამართლის კლინიკა დაარსდა

ნინო ჯაჯულია

2025 წლის სექტემბრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა ღვინის სამართლის კლინიკა მაგისტრატურის სტუდენტებისთვის. კლინიკა საქართველოს ღვინის იურისტთა ასოციაციის ბაზაზე იმუშავებს, რაც ხელს შეუწყობს ღვინის სამართლით დაინტერესებული სტუდენტების მონაწილეობას ღვინის სამართალწარმოებაში როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

თსუ-ს ღვინის სამართლის კლინიკის ხელმძღვანელი, სამართლის დოქტორი, პროფესორი მაკა ნუცუბიძე აცხადებს, რომ კლინიკა აპირებს აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ღვინის კანონმდებლობის სისტემურ ცვლილებებში და ლობირება გაუწიოს ისეთ საკანონმდებლო ინიციატივებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება ქართული კანონმდებლობის რეფორმაზე. მისივე თქმით, ამ კლინიკის სარგებელი და მისი არსებობის მთავარი გამართლება იქნება ის, რომ გაზარდოს კვალიფიციური ღვინის იურისტების თაობები, შემოიკრიბოს სამართლის სხვადასხვა დარგის იურისტები, ვისთან ერთადაც კლინიკა მოამზადებს კანონპროექტებს და იმუშავებს საქართველოს ღვინის სექტორის კანონმდებლობის სისტემურ ცვლილებებზე, რეფორმებზე.

„ქვეყანაში, რომელიც ევროკავშირის ასოცირებული სახელმწიფოა, სადაც მეღვინეობის 8000-წლიანი უწყვეტი

ტრადიცია და კულტურა გვაქვს, სადაც ღვინო ექსპორტის და ეკონომიკის უმთავრესი პროდუქტია, უნდა არსებობდეს აკადემიური სივრცე, სადაც მოხდება ღვინის სამართლის კვლევა და სწავლება. რამდენიმე ხნის წინ დავიწყე ქართული ღვინის სამართლის რეგულაციების აქტიური კვლევა შედარებითსამართლებრივ კონტექსტში, მოვამზადე სასწავლო მასალა, სილაბუსი.

გავიცანი და კარგი კოლაბორაცია შედგა პრაქტიკოს იურისტებთან, რომლებიც 15 წელია ღვინის კომპანიების იურიდიულ მომსახურებას ახორციელებენ და რომლებიც არიან ღვინის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის წევრები და საქართველოს ღვინის იურისტთა ასოციაციის დამფუძნებლები – ელენე თოთიბაძე და ირინა ფილაური. ამის შემდეგ დავაფუძნეთ ღვინის სამართლის კლინიკა თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე. კლინიკის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა – გაიაროს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მომზადება ღვინის სამართლის ადგილობრივი და საერთაშორისო რეგულაციების შესახებ; მონაწილეობა მიიღოს ღვინის სექტორის წარმომადგენლებისთვის იურიდიულ კონსულტაციებში; მოამზადოს დოკუმენტები ადმინისტრაციულ ორგანოებში, საქპატენტში, ღვინის ეროვნულ სააგენტოში; შეადგინოს ხელშეკრულებები, დაწეროს კანონპროექტები, იმუშაოს კანონპროექტებზე, მოამზადოს დასკვნები საკანონმდებლო ორგანოსთვის წარსადგენ კანონპროექტებთან დაკავშირებით და ა.შ. სტუდენტი მონაწილეობას მიიღებს რეალურ და იმიტირებულ სასამართლო პროცესებში; რეალურ საქმის წარმოებაში – სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციის, ღვინის სერტიფიცირების, ღვინის რეალიზაციისა და ექსპორტ-იმპორტის იურიდიული დოკუმენტების მომზადებაში“, – აღნიშნავს პროფესორი მაკა ნუცუბიძე.

მიუხედავად იმისა, რომ ღვინის სამართლის კლინიკა თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზეა დაფუძნებული, მისი განხორციელების ბაზაა ააიპ საქართველოს ღვინის იურისტთა ასოციაცია, რომელიც თავის მხრივ მჭიდროდ თანამშრომლობს ღვინის იურისტთა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომლის წევრიცაა მსოფლიოში ყველა ღვინის მწარმოებელი ქვეყნის ღვინის იურისტი, მოსამართლე, სამართლის პროფესორი. ერთ-ერთი ყველაზე ახლო გეგმა, რომელიც შამპან არდენის უნივერსიტეტის ვაზისა და ღვინის ცენტრთან კლინიკის თანამშრომლობის ფარგლებში იგეგმება, ეს არის თსუ-ს სტუდენტების მონაწილეობა ღვინის სამართლის საერთაშორისო იმიტირებულ სასამართლო პროცესებში.

ღვინის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის ფარგლებში, რომლის წევრიც მაკა ნუცუბიძეა, მისივე ავტორობით მომზადდა და გამოიცა მესამე განახლებული გამოცემა, სადაც მიმოხილულია სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, უკვე საქართველოს ღვინის სამართლებრივი რეგულაციები. ასოციაციის წევრები წელიწადში რამდენჯერმე იკრიბებიან სხვადასხვა ქვეყანაში და ერთმანეთს უზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას და მსჯელობენ გამოწვევებზე.

„ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება გახლავთ სწორედ ღვინის სექტორის ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, განვითარება. ჩვენი მიზანი – შეგვექმნა ღვინის იურისტთა გუნდი, ამ ეტაპზე მიღწეულია. ეს ფორმატი არსებობს, რომელიც მუდმივად ვითარდება ჩვენს ევროპელ კოლეგებთან თანამშრომლობით, მათი გამოცდილების გაზიარებითა და მათთან მჭიდრო თანამშრომლობით. შესაბამისად, დღეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიახ, მზად ვართ ვიმუშაოთ სისტემურ ცვლილებებზე და თუკი კონკრეტული ინიციატორები გამოჩნდებიან, გავუწიოთ მათ ლობირება. უფრო მეტიც, ჩვენი ამბიციაა – ვიყოთ ყველა მეღვინის სამართლებრივი ხმა, ვისთვისაც ღვინო, მისი ხარისხი, ცნობადობა და ავთენტურობა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენთვის“, – ამბობს მაკა ნუცუბიძე.

კვლევა, რომელიც ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებას უკავშირდება

თამარ დადიანი

„პირადი ინფორმაციისა და პროგრესის ბალანსი: პერსონალური მონაცემების დაცვა ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში“ – ეს არის იმ კვლევის სახელწოდება, რომლის პრეზენტაციაც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტის ფარგლებში განხორციელდა. პრეზენტაციას უძღვებოდნენ პროექტის ავტორები: პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი ოთარ ჩახუნაშვილი და თსუ-ს დოქტორანტი და მოწვეული ლექტორი სალომე სიგუა. მათ შეხვედრაზე მოწვეულ ექსპერტებთან ერთად ისაუბრეს იმ გამოწვევებზე, რომლებიც AI-ის სწრაფი გავრცელების ფონზე პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებას უკავშირდება. ღონისძიებას ესწრებოდნენ თსუ-ს სტუდენტები და იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი: პროფესორი ირმა ხარშილაძე, ასოცირებული-პროფესორი კობა ყალიჩავა- და ასოცირებული-პროფესორი სერგი ჯორბენაძე.

კვლევის თავდაპირველი მიზანი იყო არსებული საკანონმდებლო ბაზისა და სასამართლო პრაქტიკის მოძიება და ანალიზი, რათა დადგენილიყო – როგორ ხდება პერსონალური მონაცემების დაცვა და მათი გამოყენება ალგორითმების მუშაობისას. ამ პროცესის შესწავლის გზით კვლევა ცდილობდა დაედგინა – შესაძლებელია თუ არა ისეთი სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება, რომელიც, ერთი მხრივ, არ შეაფერხებს ტექნოლოგიურ პროგრესს, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის პირადი მონაცემების მკაფიო და საიმედო დაცვას.

„პროექტის მიზანია ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში განსაზღვროს ოპტიმალური ბალანსი პირადი ინფორმაციის დაცულობასა და ტექნოლოგიურ პროგრესს შორის და ჩამოაყალიბოს სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ინოვაციებსა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას ადამიანის უფლებების დაზიანების გარეშე უზრუნველყოფს. კვლევა ემყარება პერსონალური მონაცემების დამუშავების ინტერდისციპლინურ ბუნებას და მოიცავს სამართლის ფუნდამენტური პრინციპების, სოციოლოგიური, ეკონომიკური, კომპიუტერული და კულტურული ასპექტების ანალიზს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოიყენება შედარებით სამართლებრივი მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესწავლილი იქნება სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების გამოცდილება, განსაკუთრებით – ევროკავშირის ქვეყნებში არსებული თეორიული დისკუსიები, სადავო მიდგომები და სასამართლო/საკანონმდებლო პრაქტიკა, საჯარო ინტერესისა და ადამიანის უფლებების პრიზმაში“, – განაცხადა კვლევის ავტორმა ოთარ ჩახუნაშვილმა.

კვლევის მიხედვით, ალგორითმების ბოლო ანალიზმა აჩვენა, რომ თანამედროვე AI სისტემები მნიშვნელოვნად ეყრდნობიან პერსონალურ მონაცემებს, განსაკუთრებით ვიზუალურ და აუდიო ფორმატებში. მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი ხშირად ვერ სრულდება, ხოლო ალგორითმების შიდა პროცესები არ არის საკმარისად გამჭვირვალე. ეს ქმნის როგორც ეთიკურ, ისე სამართლებრივ გამოწვევებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც AI მოიცავს პირადი ინფორმაციის აღქმა-მოწოდებას, სახის ან ხმის ამოცნობას. AI სისტემების მომავალი განვითარება საჭიროებს გამჭვირვალობის ზრდას და მონაცემთა დაცვის მკაცრ სტანდარტებს, რათა AI ტექნოლოგიები უსაფრთხო და პასუხისმგებლიანი იყოს. სწორედ ამ თემებზე გაამახვილა ყურადღება თავის გამოსვლაში თსუ-ს დოქტორანტმა სალომე სიგუამ.

დასკვნები, რომლებიც მიღებულ იქნა კვლევის ფარგლებში, ხაზს უსვამს აუცილებლობას, რომ სახელმწიფომ, ორგანიზაციებმა და ტექნოლოგიურმა სექტორმაც უფრო მკაფიო რეკომენდაციები და წესები შეიმუშაონ. სწორედ ასეთი სამართლებრივი ჩარჩოები უზრუნველყოფს, რომ ინოვაციებმა არ შექმნას საფრთხე ადამიანის უფლებებისთვის.

„შესწავლილმა მასალამ დაადასტურა საჭიროება შემუშავდეს მკაფიო რეკომენდაციები როგორც AI-ის შემქმნელებისა და ოპერატორებისთვის, ასევე მოქალაქეებისთვის. შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში საჭიროა დამატებითი მექანიზმები, რათა AI-ის მიერ მონაცემთა დამუშავება მკაფიოდ დაბალანსდეს ინოვაციასთან და ადამიანის უფლებების დაცვასთან. კვლევის საერთო დასკვნა ხაზს უსვამს თანამედროვე და მოქნილი სამართლებრივი ჩარჩოს აუცილებლობას“, -ვკითხულობთ კვლევის შედეგების მიხედვით წარმოდგენილ რეკომენდაციებში.

როგორც თსუ-ს პროფესორმა ირმა ხარშილაძემ პრეზენტაციაზე აღნიშნა, საკითხი დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობაში უკვე არის გარკვეული რეგულაციები, ეს სფერო მაინც სერიოზულ დახვეწას საჭიროებს: „ადამიანის პერსონალური მონაცემები ალგორითმების პირობებში დაცული უნდა იყოს. აუცილებელია ბალანსი და ჰარმონიზაცია ქართულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს შორის. სწორედ ამისკენაა მიმართული ეს კვლევა, რომელიც არა მხოლოდ მეცნიერულ, არამედ პრაქტიკულ მნიშვნელობასაც ატარებს – როგორ უნდა მოხდეს თითოეული ჩვენგანის მონაცემების დაცვა“, – აღნიშნა ირმა ხარშილაძემ.

ბაჩო ხუროშვილი თსუ-ში გატარებულ სტუდენტობის წლებს დიდ და გენიალურ თავგადასავალს უწოდებს

მაია ტორაძე

ბაჩო ხუროშვილისთვის უნივერსიტეტი მხოლოდ საგანმანათლებლო სივრცე არასოდეს ყოფილა. მისთვის იგი არის ღირებულებითი სისტემა, აზროვნების ფორმირების ადგილი და ის ინსტიტუციური გარემო, სადაც ცოდნა თავისუფლებასთან, მრავალფეროვნებასთან და პასუხისმგებლობასთან ერთად ყალიბდება. პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის არჩევაც სწორედ ამ გააზრებულ დამოკიდებულებას უკავშირდება – სურვილს, მიეღო ხარისხიანი, ფუნდამენტური და არალიმიტირებული ცოდნა იმ სფეროში, რომლისკენაც ბავშვობიდან ჰქონდა მიდრეკილება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გატარებული წლები ბაჩოსთვის ინტელექტუალური და ადამიანური ჩამოყალიბების პერიოდია. ის თსუ-ს მოიხსენიებს – როგორც სივრცეს, სადაც ერთდროულად სწავლობ მეცნიერებას და ცხოვრებას, იძენ არა მხოლოდ დარგობრივ კომპეტენციებს, არამედ სწავლობ კრიტიკულ აზროვნებას, სამართლიანობის მნიშვნელობას, დამოუკიდებლობასა და სოციალური რეალობის გააზრებას. თსუ-ში გატარებულ სტუდენტობის წლებს იგი დიდ და გენიალურ თავგადასავალს უწოდებს და ასე იხსენებს: „მოვედი ჰიპერაქტიური ბიჭი, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა ის ცოდნა, კომპეტენციები და უნარები, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მომცა. რთულია ზედმიწევნით აღწერო, თუმცა თსუ-ში სწავლობ ორ რამეს. 1. მეცნიერებას და 2. ცხოვრებას. სწავლობ ბრძოლისუნარიანობას, სწავლობ – რას ნიშნავს სამართლიანობა, სწავლობ იმ ყოფით საკითხებს, რომლებიც გეხმარება, რომ გზა დამოუკიდებლად გაიკვალო. ხედავ და გრძნობ სოციალურ პრობლემებსა და რეალობას, აღიქვამ კონტრასტს. ხვდები – რას ნიშნავს აკადემია და ინსტიტუცია, განიცდი ღირებულებათა ცვლილებას და ფასეულობათა ტრანსფორმაციას“.

ბაჩოსთვის განსაკუთრებით ფასეულია თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მრავალფეროვანი აკადემიური გარემო, განსხვავებული კურსელები და აკადემიური პერსონალი, რაც, მისი თქმით, ქმნის სივრცეს, სადაც სტუდენტი თავისუფალია. „ეს ურთიერთობები არის ძალიან დიდი გამოცდილება, რომელიც მთელი ცხოვრება მიგყვება. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი არის მრავალფეროვნება და ინდოქტრინაციის წინააღმდეგობა. შენ კი აქ შეგიძლია იყო ის, ვინც ხარ და გინდა, რომ იყო იქ, სადაც აუცილებლად იპოვი შენს თანამოაზრეებს“, – იხსენებს ბაჩო.

კითხვაზე – თუ რა მისცა უნივერსიტეტმა, ბაჩო ამბობს, რომ ეს მაშინ გააცნობიერა, როცა თსუ-დან წავიდა და ვროცლავის უნივერსიტეტში დოქტორანტურის მისაღებ გამოცდებზე რთული კითხვები წარმატებით დაძლია. „ძალიან ღირსეულად ჩავაბარე იმ ცოდნით, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საბაკალავრო დონეზე მომცა და მგონია, რომ ესაა ინდიკატორი, საზომი და ვერიფიკატორი იმისა, თუ რა მომცა უნივერსიტეტმა. მაგისტრატურის საფეხურზეც უკვე დამოუკიდებლად ვაქვეყნებდი სამეცნიერო ნაშრომებს, რაც, ცხადია, კომპლექსურ ცოდნას მოითხოვდა. ზოგადად ვფიქრობ, რომ თსუ-ში მიღებული ეს ცოდნა უნიკალურია: აქ შენ, ერთი მხრივ, სწავლობ სპეციალობას და, მეორე მხრივ, იმას, რაც ამ უკანასკნელის იქით შეიძლება კიდევ გაინტერესებდეს. მე მქონდა ამის შესაძლებლობა, რომ ფაკულტეტის მიერ შემოთავაზებული სხვადასხვა საგანი გამევლო და შევხვედრილიყავი

ძალიან საინტერესო ადამიანებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ცოდნის და გამოცდილების გაზიარება შეეძლოთ“.

დღეს ბაჩო ხუროშვილი პოლიტიკის მეცნიერების მკვლევარი და ლექტორია. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს საჯარო პოლიტიკას, მმართველობასა და ადმინისტრირებას, დემოკრატიზაციისა და ევროინტეგრაციის პროცესებს. სადოქტორო დისერტაციას ვროცლავის უნივერსიტეტში იცავს, თუმცა მისი აკადემიური გამოცდილება სცდება ერთ ინსტიტუციას – იგი მუშაობდა და იკვლევდა ბერლინის ჰუმბოლდტის, ოქსფორდის, მასარიკის უნივერსიტეტებში, ასევე ევროკავშირის წამყვან სტრუქტურებში.

მისი დამოკიდებულება ცოდნისადმი პირდაპირ უკავშირდება პასუხისმგებლობას მომავალ თაობებზე. იგი დარწმუნებულია, რომ ქართველ ახალგაზრდებს აქვთ იგივე პოტენციალი, რაც მათ ევროპელ თანატოლებს და სჭირდებათ მხოლოდ მეტი მხარდაჭერა და შესაძლებლობა. ასევე მნიშვნელოვანია მისთვის ქართული აკადემიური სივრცის დაფასება და ინტეგრაცია ევროპულ სამეცნიერო კონტექსტში.

ბაჩო ხუროშვილისთვის უნივერსიტეტი არის აკადემიური თავისუფლების, ავტონომიისა და ღირებულებებზე დაფუძნებული განათლების უწყვეტი იდეა. სწორედ ამ იდეის ერთგულება აერთიანებს მის აკადემიურ გზას და ცოდნისადმი დამოკიდებულებას.

რაც შეეხება სურვილებს, რომელიც ახალ წელთან ასოცირდება, არ სცდება ახალგაზრდების მომავლისადმი პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას. ბაჩო ამბობს: „ძალიან მინდა, რომ ქართველ ახალგაზრდებს ჰქონდეთ ის შესაძლებლობები, რომლებიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებობს. ამას წინათ თსუ-ში ვესწრებოდი პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო ნაშრომების დაცვას და გაოგნებული ვიყავი – საოცარი ახალგაზრდები გვყვავს. მე პოლონეთში ვასწავლი პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე, აგრეთვე შეხება მაქვს ევროკავშირის წამყვან უნივერსიტეტებთან და მათ სტუდენტებთან – უბრალოდ არაფრით ჩამოუვარდებიან ჩვენი ბავშვები, რომელთაც მეტი მხარდაჭერა და შესაძლებლობები სჭირდებათ. ასევე ძალიან მინდა, რომ ქართველი აკადემიური პერსონალი იყოს მეტად დაფასებული და რეალიზებული კონტინენტური ევროპის მასშტაბით – მე მათი ძალიან დიდი გულშემატკივარი ვარ და წარმატება მინდა ვუსურვო. ცოტა ბანალურია, მაგრამ მართლა მთელი გულით მინდა, რომ ქვეყანას ევროპული მომავალი და ადამიანებს ბედნიერება, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ვუსურვო. უნივერსიტეტს კი დაებედოს – მრავალი წელი შეძლოს ივანე ჯავახიშვილის ტრადიციების გაგრძელება. ესაა აკადემიური თავისუფლების, ავტონომიის, იმ სტანდარტისა და კულტურის შემოთავაზება და განვითარება/გაგრძელება, რომელსაც თსუ წლებია ქმნის“.

როგორ აჯამებს 2025 წელს თსუ-ს მოლაშქრეთა კლუბი

ნინო ჩარკვიანი

უკვე მესამე წელია, რაც უნივერსიტეტის ბაზაზე მოლაშქრეთა კლუბი „თსუ“ ფუნქციონირებს. იგი 2022 წელს სტუდენტების ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსდა და უმთავრეს მიზნად ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია დაისახა.

რა გამოწვევებით, სიახლეებითა და ემოციებით სავსე აღმოჩნდა განვლილი 2025 წელი თსუ-ს მოლაშქრეთა კლუბისთვის? ამის შესახებ კლუბის ხელმძღვანელს, **ანასტასია ტყეშელაშვილს** ვესაუბრეთ. მისი თქმით, 2025 წელი სიახლეებით იყო სავსე, რაც როგორც ახალი წევრების შემოერთებით, ისე მრავალფეროვანი მოგზაურობებით აღინიშნა.

„ლაშქრობების ორგანიზება საქართველოს რამდენიმე კუთხეში მოვახერხეთ. „პანორამების ბილიკი“ გავიარეთ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში (ირაკლი ჭიტაძის ხელმძღვანელობით). რაჭაში ვიყავით პირველად, თანაც ორჯერ – ერთი გასვლა გვქონდა ჭიორა-ნოწარაში ნიკოლოზ გოგრიჭიანის ორგანიზებით, მეორე – უძირო ტბაზე (აქ თათია ამირაშვილი იყო პროექტის ხელმძღვანელი); ჭაჭკარშიც ვიყავით, ვარძიის გვერდით მდებარე სოფელში. გარდა ამისა, წინასაახალწლო პერიოდში კიდევ ორი გასვლა მოვასწარით – კახისის ტბაზე და ნეძვის აღკვეთილში“, – გვიყვება კლუბის ხელმძღვანელი.

როგორც ანასტასია ტყეშელაშვილი აღნიშნავს, თითოეულ ლაშქრობას თავისი განუმეორებელი ხიბლი და კურიოზები ახლავს. მაგალითად, ჭიორა-ნოწარას ლაშქრობა მონაწილეებს თავსხმა წვიმით დაამახსოვრდათ, სწორედ ამ დისკომფორტმა აქცია გასვლა დაუვიწყარ თავგადასავლად.

ჩვენთან საუბარში ანასტასია იხსენებს იმ მომენტებსაც, რომლებიც ლაშქრობებისას ადამიანურ ურთიერთობებს ეხება. მან გვიამბო ჭაჭკარში გასვლის შესახებ, სადაც სტუდენტები სოფელ საროში ადგილობრივებს ესტუმრნენ: „თითოეულ მონაწილეს განსაკუთრებით დაამახსოვრდა ლენა ბებო და დურმო პაპა... ამ ისტორიას გამორჩეულს მათი ხნიერი ასაკი, თბილი მასპინძლობა და ის 200 წლის ოდა ქმნიდა, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ყველა დიდი სიამოვნებით უსმენდა ცოლ-ქმრის საუბარსა და ისტორიებს. სწორედ ასეთი კომუნიკაციები ხდის ლაშქრობებს დაუვიწყარს“, – გვიყვება ანასტასია.

ფიზიკური აქტივობის გარდა კლუბი კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებებსაც აწყობს. 22 დეკემბერს ფილმის „ალპინისტის“ ჩვენება გაიმართა. ანასტასია მიიჩნევს, რომ კინოჩვენებები სტუდენტებს მთის ფილოსოფიასთან აახლოებს: „კინოჩვენებებით, ვფიქრობთ, მეტად უახლოვდება ადამიანი საველე ცხოვრების სენტიმენტებს... შემდეგ უნდება, რომ მანაც გაიაროს მსგავსი თავგადასავალი“.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, 2026 წელს თსუ-ს მოლაშქრეთა კლუბი აპირებს – გააგრძელოს სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება და ახალი მწვერვალების დაპყრობა – როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. კლუბის ხელმძღვანელის ანასტასია ტყეშელაშვილის თქმით, მომავალი წელი კიდევ უფრო დატვირთული იქნება. იგეგმება ცვლილებები წევრების მიღების პროცედურაში და ახალი „სიურპრიზებით სავსე“ პროექტების განხორციელება, რომლებსაც კლუბი ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავს.

ანასტასია ტყეშელაშვილი

2026 წლის მოლოდინში: რა სურვილები აქვთ თსუ-ს სტუდენტებს?

ნინო ჩარკვიანი

ახალი წლის მოახლოებასთან ერთად თსუ-ს სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებს ვკითხეთ – რას უსურვებდნენ საკუთარ უნივერსიტეტს. მათი გზავნილები განსხვავებულია: ზოგიერთი ყურადღებას ამახვილებს თსუ-ს აკადემიურ წარმატებებზე, ზოგს კი ინფრასტრუქტურის მეტად განვითარება სურს. გაეცანით თსუ-ელების საახალწლო სურვილებს...

ბარბარა ხაჭაპურიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, IV კურსი:

„თსუ-ს ვუსურვებ ჯანსაღად და სწორად მოაზროვნე სტუდენტებით სავსე აუდიტორიებს; ასევე, მინდა, სტუდენტისთვის უნივერსიტეტში განვლილი თითოეული დღე გახდეს მოტივაცია უკეთესობისკენ სწრაფვისა, და არა მოვალეობა, რომელსაც უმიზნოდ შევასრულებთ. ვისურვებ მეტ აქტივობებს, სტუდენტზე მორგებულ გარემოს და მრავალფეროვნებას“.

ნანკა კოპალიანი, იურიდიული ფაკულტეტი, II კურსი:

„ახალ 2026 წელს ვისურვებ, რომ დაპატიმრებული სტუდენტები აუდიტორიებში დაბრუნებულიყვნენ.“

ნიკ სიარგი, თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრი, Front End დეველოპმენტის პროფესიული პროგრამა:

„თსუ-ს კიდევ უფრო მეტ აკადემიურ წარმატებას, საერთაშორისო აღიარებასა და განვითარებას ვუსურვებ. დაე,

უნივერსიტეტი დარჩეს თავისუფალი აზროვნების, მეცნიერების და ინოვაციის წამყვან ცენტრად საქართველოში. პროფესორ-მასწავლებლებს ვუსურვებ ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო სტუდენტებს – ცოდნით, მიზანდასახულობითა და წარმატებით სავსე მომავალს“.

თეკლა სიხარულიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათ ფაკულტეტი, თურქოლოგია, IV კურსი:

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბევრი სტუდენტისთვის ცოდნის მიღების უშრეტი წყაროა. უნივერსიტეტს ვუსურვებ პროგრესს ახალი პროექტების განხორციელებაში, წარმატებულ სტუდენტებსა და მუდამ მზარდ აკადემიურ სტანდარტებს“.

ანი მიქელთაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, II კურსი:

„2026 წელს თსუ-ს ვუსურვებ, რომ ლექტორებისა და სტუდენტების ურთიერთობა კიდევ უფრო ადამიანური გახდეს, იგრძნობოდეს ერთმანეთისადმი პატივისცემა და ამა თუ იმ საკითხში მხარდაჭერა“.

ლაშა გუნთაიშვილი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, I კურსი:

„უპირველეს ყოვლისა, სიმშვიდე, წარმატება და ბედნიერება უნივერსიტეტს, ხოლო შემდგომ კი მეტი ყურადღების გამახვილება სხვა კორპუსებზეც. ვფიქრობ, „განივს“ მიხედვა სჭირდება“.

თეკლე კაცაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამა, III კურსი:

„მსურს, რომ ჩვენს უნივერსიტეტს საუკეთესო 2026 წელი დაუდგეს! დიდი სურვილი მაქვს, რომ ის ყოველთვის ასოცირდებოდეს ხარისხთან, ტრადიციებთან და მომავლისადმი რწმენასთან. რაც შეეხება ცვლილებებს, ვფიქრობ, რომ ახალ წელს უნდა შევხვდეთ ახალი იდეებით: კორპუსების განახლებითა და მოდერნიზაციით, სტიპენდიატთა რაოდენობის გაზრდით, აკადემიური და კულტურული აქტივობების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით“.

მარიამ ცინცაძე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, I კურსი:

„ვისურვებდი, რომ ყურადღება მიექცეს განსაკუთრებით „განივის“ ინფრასტრუქტურას“.

ნინი ლებანიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ინგლისური ფილოლოგია, II კურსი:

„ჩემი უდიდესი სურვილია შეიცვალოს ზოგიერთი ლექტორის დამოკიდებულება ჩვენ (სტუდენტების) მიმართ და მორჩეს მათგან დამამცირებელი საუბრები“.

ახალი წელი და იურისპრუდენცია

შერთხია ბეროშვილი

რა კანონები ამოქმედდება ახალი წლიდან? – ამ თემასთან დაკავშირებით საზოგადოება ხშირად ინტერესდება, რადგან, როგორც წესი, ამა თუ იმ წლის 1 იანვრიდან თითქმის ყოველთვის ადგენენ რაღაც „რეგულაციას“. წინასაახალწლოდ რომ ცოცხალი ნაძვების მოჭრა აიკრძალა და ჯარიმები დაწესდა – ეს უკვე ყველამ გაიგო და, ალბათ, გაითავისა კიდეც. ისეთი ტემპებით იღებს პარლამენტი მართლაც საჭირო თუ, ზოგჯერ, საზოგადოებისთვის მტკივნეულ კანონებს, რომ ახალი 2026 წლის 1 იანვრიდან მოგვიწევს – კარგად გავეცნოთ ახალ აკრძალვებს, ახალ ვალდებულებებს, ახალ უფლებებს. ამდენად, ახალი წლისა და იურისპრუდენციის ერთმანეთთან დაკავშირება სულაც არ არის ალოგიკური. სწორედ რომ ლოგიკას მიჰყვება უნივერსიტეტის გაზეთის რედაქციის რჩეული ახალგაზრდა იურისტი, როცა წლის ახალი კალენდარული დღის იურისპრუდენციასთან ბმას ახერხებს. ჩვენი გაზეთი ადრე თსუ-ს სტუდენტზე, იურისტ ნიკა ტეფნაძეზე წერდა, როგორც წარმატებულ ჰარვარდელზე, რომელმაც საზაფხულო სკოლა ჰარვარდის უნივერსიტეტში გაიარა. ამ მხრივ მისთვის 2025 წელი დასამახსოვრებელია. როგორი მოლოდინი აქვს ახალგაზრდა იურისტს ახალი წლისადმი? – ამ კითხვაზე პასუხს **ნიკა ტეფნაძე** პროფესიული კუთხით აყალიბებს.

* * *

იურისპრუდენცია და ახალი წელი – ერთი შეხედვით, მათ არ აქვთ საერთო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ახალ კანონში ამოიკითხავს ადამიანი სიტყვებს – „ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან“.

ახალი წლის ღამე იმედის სიმბოლოა. დღევანდელ იურისპრუდენციასა და იურისტებს მალულად და შინაგანად იმედი აქვთ, რომ სამართალი ცდილობს იყოს სამართლიანი. ახალი იმედი სამართალს უთუოდ სჭირდება

იურისპრუდენცია – სამართლიანობისა და უსამართლობის მუდმივი ჭიდილია, ახალი წელი კი განახლებაა, დღეასასწაულია.

ჩემთვის ახალი წელი დროის უხილავი ზღვარია, რომლის გადაკვეთაც კაცს აფიქრებინებს პასუხისმგებლობაზე, შეცდომებზე, გამოწვევებზე, წარსულსა და მომავალზე. ერთგვარ შიშსაც ინვევს იგი – რაღაც დამთავრდა, რაღაც იწყება. ჩნდება კითხვა – როგორ დამთავრდა? რა იწყება?

დღევანდელი იურისპრუდენცია წარსულისა და მომავლის მიჯნაზე დგას. დღევანდელი სამართალი წარსულის იარებს იშუშებს და მომავლის რთულ გზას გაჰყურებს.

როდესაც კედლის კალენდარს თორმეტჯერ მოსწყდება ფურცელი, სწორედ ამ დროს სამართლიანობა მოითხოვს თორმეტივე ფურცელზე წარსული შეცდომების ამოცნობას. საახალწლო სურვილად სამართლიანობის ჩაფიქრებაა ხსნა, ის იურისპრუდენციის თვითმიზანია.

ახალი წლის ღამე იმედის სიმბოლოა. დღევანდელ იურისპრუდენციასა და იურისტებს მალულად და შინაგანად იმედი აქვთ, რომ სამართალი ცდილობს იყოს სამართლიანი. ახალი იმედი სამართალს უთუოდ სჭირდება.

ახალი წელი და იურისპრუდენცია ერთ საერთო იდეას იზიარებენ – რწმენას, რომ ხვალინდელი დღე შეიძლება იყოს უკეთესი.

იქ, სადაც დრო ახალ დასაწყისს გვთავაზობს, სამართალი ვალდებულია, რომ ახალი საწყისი სამართლიანობის საფუძველზე ააშენოს. დაე, „ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან“ (სამართლიანობისა და უსამართლობის ჭიდილში) სამართლიანობის გამარჯვების იმედი!

წლის სტუდენტური ფოტო